

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტო ჩაიგეშტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ
редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სპარსულს, სომხულს და
სუბულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასრებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწვრთნებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება
ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ამ წლის 1 ივლისიდან ვიდრე მომავალი 1877 წლის 1 იანვრამდე
ფასი ნახევარ წლისა — — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლარები მხოლოდ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ
რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გა-
ეგზავნება.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გა-
ზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობа“
ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოიგზავ-
ნოს რედაქციაში.

საქართველო

დღიური

რუსულს გაზეთებში იწერებიან,
რომ დიდი მთავარი ძველის ნამეს-
ტნიკი ორს აგვისტოს გამოსულა
ბადენიდან და პირ-და-პირ თფილის-
ში მოდისო.

სწორეთ როგორც შეეფერება კე-
თილ-სინდისიან გაზეთსა და გონიერ
კაცს, ისეთის თვალთ „მეხედა გაზ.
„ძველმა“ სენეთის ამბავს. თვის
უკანასკნელს მოწინავე სტატიაში ეს
გაზეთი, სხვათა შორის, ამბობს, რომ
თავისუფალ სენეთის ხალხი თავის
მიუდგომელ, მიყრუებულ მთებში
სცხოვრებსო, იმას თავის ხასიათი,
ჩვეულება და განსაკუთრებული ცხო-
ვრება აქვსო, და ამისთანა ხალხში
რომ კაცმა რამე გააჩინოს, საქირო-
აო, რომ იმის ხასიათი და ყოფა-
ცხოვრება კარგათ ესმოდას და არ
უნდა მიაყენოს განსაცდელი ისეთს
სახალხო გრძობათ, რომელნიც
იმათ შეუხებელ და წმინდა საგნად
მიჩნიათო. იმ გვარი სამწუხარო შემ-
თხვევა, როგორც ამ დღეებში მოხ-
და სენეთში, შეიძლება ხშირად
მოხდეს ძველის ხალხებშიო, თუ
უწვდის უფროსები არ გაიცნობენ
ხალხის ხასიათს, იმის ჩვეულებასა და
ამის-და-გვარად არ მიეპყრობიან იმათ
თავიანთ თანამდებობის აღსრულების
დროსაო.

ლენხუმის უფროსი უფროსზე, მი-
ცვალბულს ბრინვესკიზე ცუდის
თქმა არა გინდა რა, მაგრამ ეს კი
უნდა ითქვას, რომ ის, როგორც
გვეჩვენებს, სრულებით ვერ იცნობდა
სენების ხასიათსა და ვერც ისე ეპ-
ყრობოდა ხალხს, როგორც ამისთა
ხალხს შეეფერება...

სენეთიდან მოგვიყვება ამბავი, რომ
იქაური პრისტევი თ. კოსტანტინე

მიქელაძე, რომელიც მძიმედ დაჭრი-
ლი იყო, უკვე მიცვალბულა. მარ-
ჯიშანი უფროსი გამგებობისა უფ. იო-
სებ ბაქრაძე, რომელზედაც ოფიცია-
ლურს გაზეთში იყო ნათქვამი, რომ
სადაც დაიკარგა და საფიქრებელია,
რომ მოკლული უნდა იყოსო, ეს ბა-
ქრაძე მძიმედ დაჭრილი სწევს ამ ქა-
მად ლაილაში და იმედია, რომ არ
მოკვდესო.

უფ. უფროსი უფროსი ბრინვესკი
კი გაბრაზებულ სენებს ხეზე მიუ-
კრავთ და ისე დაუხვრებიანო.

ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონ-
დენტი იწერება, რომ ჩვენი ქალაქი
ისე მიყრუებული არის და ადგილობ-
რივ მთავრობისაგან მიგდებულიო,
რომ შეხედოთ, შეგებრალბებათა: არც-
ერთი ქუჩა მთელი ამ ზაფხულის გან-
მავლობაში ერთხელაც არ დაგუ-
ლაო, ასე რომ ქუჩებში გავლა რომ
გინდოდეს, ცხვირში თითი უნდა დაი-
ცო, თორემ სიმყრალე შეგაწუხებ-
სო. მართი თავიანი მთავარი რომ
გვეყვდეს, მეტი არა გვინდა რაო,
სხვა არა იყოს რა მდებარეობსა და
სახლის პატრონებს მაინც უბრძანებ-
და, რომ ყოველგვარი ნაგავი და სიმ-
ყრალე არ გადმოყარონ ქუჩებზე და
არ გააფუჭონ ქალაქის ჰავაო.

ხონის მახლობლად მდებარე ერ-
თი სოფლიდან ჩვენ მოგვიყვება შემ-
დეგი ამბავი:

ჩვენს სოფელში ჰ-ში ერთი აზნაურ-
შვილის სამი წლის ქვრივი დედაკაცი გახლ-
დათ. ქალს ვილაქ საყვარელი ჰყოლია და
ამ უკანასკნელ დროს დაშინდა. ეს ქალი
იხაკილა: მთელს საზოგადოებაში თავი მო-
მეტყრებო, თუ ეს ამბავი გამოაშკარდოს. და-
ტრიალდა წამლებზედა, რომ როგორმე მუც-
ლი წაიღინოს; მაგრამ ვერაფერი საშუალო-
ბა ვერ იპოვა. ბოლოს წავიდა ერთს აქა-
ურს ექიმს დედაკაცთან, რომელსაც მარჩი-
ვლობას ეწამებოდნენ. აუხსნა ამ დედაკაცს
თავისი გარემოება: ასე არის ჩემი საქმეო.
ქვიშა-დედაკაცმა უთხრა: წადი სახლში, და-

ჩემი, არაგვის გააგებო რამე; მე ვხლავ მო-
ვალ და წამალსაც თან მოვიტანო.

წამალი დალევინა, ლოგინში დაწვინა,
გადაფარა საბანი და წავიდა.

მართ საათის შემდეგ ისევ მიბრუნდა,
გადახდა საბანი... საწყალ დედაკაცს სული
მიებარებინა ღვთისათვის.

ამ საქმის თაობაზედ ფიცხელი გამო-
ძიება დანიშნეს; მიცვალბული გაჭრა დოქ-
ტორმა და კიდევაც დამოწმა, რომ წამლის
მიზეზით არის მკვდარიო. პითხეს ამ აქი-
მდედაკაცს: რათ დალევინე ვეფთი წამალი,
თუ მოკლავედა? — სხვისისაც ბარე ორჯელ
დავალევინე ცხოვრებულს და ისე კარგათ
წაუხდინე მუცელი, რომ არც კი შეუტყვიანო
და ეხლაც ისე მკვდარო.

ეს დედა-კაცი გამოძიებულმა ხონის
სულში გაგზავნა ყარაულს ქვეშ. მიცვალ-
ბული დასაფლავეს ამავე სოფლის ეკლეს-
სიაზედ. უფრო დაწვრილებით ამბავს შემ-
დეგ გაცნობებთ.

იმერეთიდან გვეჩვენებს რომ ამ ერ-
თი კვირის წინათ ზემო-იმერეთის
ერთს სოფელში, წევას, რამდენსამე
თავდასა და აზნაურს, მიწის თაობაზე,
ჩხუბი მოსვლიათ და ამ დროს თ. ლ.
წულუკიძე მძიმედ დაუჭრიათ და ერ-
თი აზნაური მრგვლით კიდევ მოუ-
კლავთ. ამბობენ, თ. ლ. წულუკი-
ძე ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ
შეიძლება ისიც მალე მოკვდესო. უ-
ჩივიან, რომ პოლიციამ და სასამარ-
თლომ ამ შემთხვევას ჯეროვანი ყუ-
რადლება არ მიაქციანო.

ზაზ. „ძველმა“ იწერებიან, რომ
ვილაქ იმერელი პეტრე ჰინიძე თა-
ვის ცოლით მიდიოდა ამას წინათ
აქაურს ხილზედა; ამდროს რაღაზედაც
ლაპარაკი მოუვიდათ და უეცრად
ჰსტაცა ქმარმა ცოლს წელში ხელი
და რიონში გადადგებას უპირებდაო;
მაგრამ ამ დროს ვილაქები მოეშველ-
ნენ, წაველეს შეშინებულს დედაკაცს
ხელი და გამოჰგლიჯეს ქმარსაო.

მუთაისის სასულიერო სასწავლე-
ბლიდან შეგირდების გამოარიცხვის
თაობაზე, ჩვენ მოგვიყვება შემდეგი
შენიშნვა, ანუ უკეთ ესთქვათ — კი-
თხვა გაზეთში დასაბეჭდათ:

მუთაისის სასულიერო სასწავლე-
ბლის სამმართველოს მწვერთ: უუ.
მ. ძსათიანს, შ. ძიკნაძეს, ნ. ხუცი-
ვეს, მმ. ლ. ლამაზიძეს და პ. ბოლან-
ჩიძეს ესთხოვ „დროების“ რედაქ-
ციას აცნობონ:

ჰქონდათ სხდომა სასწავლებლის
სამმართველოში 78 შეგირდების გა-
მოგდებაზე, თუ არა? თუ ჰქონდათ,
როგორ გადასწყვიტეს?

ამ ქამად მეტი არა მეთქმის რა
უ. X — ზე.
3. ჩიხიტაური
თფილისი, 12 აგვისტოს

„დროების“ კორრესპონდენცია

სურამი, 6 აგვისტოს. მე დარ-
წმუნებული ვარ, რომ თქვენი გაზეთი
ჩვენი ხალხის ბევრი სწეულების მა-
ლამო არის, და უნდა იყოს; ამ იმე-
დით მოგმართავთ და გთხოვთ მაშ
მისცეთ ამ ჩვენი საზოგადოების
დარდების განცხადებას ადგილი.

მე არ მინდა ვილაპარაკო სასოფ-
ლო ყალბაყალ დაეიდარაბაზე, აქაუ-
რი სოფლის და ადმინისტრაციული სა-
მართველობის ურიგობაზე, არა; მე
უნდა ვილაპარაკო ჩვენი ღარიბი სა-
ზოგადოებისთვის სასარგებლო სა-
განზე, რომელიც შეადგენს იმის მო-
მავალი კეთილ-დღეობისათვის აუცი-
ლებლივს საჭიროებას.

დაეწყებ იმით რომ ჩვენი სურა-
მის მცხოვრებლები, გარდა გარე
ქვეყნებით მოსული ხალხის, სამსა-
ხურში მყოფი პირების და ურიებისა,
შესდგებიან სომხებისაგან, რომელ-
თაც სომხური სულობით არ იციან,
და ქართველებისაგან, რომელთ რიც-
ხეი ას-ორმოც-და-ათ კვამლამდისინ
აეა.

რა საბრალო მდგომარეობაში უნ-
და იყოს ეს ღარიბი ხალხი, რომ ამ
ნაირს დიდ სოფელში ერთი შკოლა
არ იყოს.

ამ სამი წლის წინეთ, შემოკრიფეს
დიდი ფაცა-ფუციით საზოგადოებისა-
გან ფული, შკოლის გასამართავათ;
რასაკვირველია, ყოველამ, შეძლების-
დაგვარ, დიდი სიამოვნებით. გადინა-
დეს. შემოკრიფთა საკმაო სუმმა; გაა-
შენეს ამ ფულით შკოლა; მაგრამ ამ
ღარიბი ხალხის ფულით გაშენებულ-
მა შკოლამ არა ვითარო მნიშვნე-
ლობა და წარმოება არ იქონია, რად-
გან ბოლოს, ერთმა აქაურმა მცხოვ-
რებმა უფ. ჰ — ძემ გაჰყიდა შენობაც,
„შპატრონო საყდარს ეშმაკები დეე-
პატრონებიანო.“ ჩაიყარა ჯიბეში
ფული. და ახლა როგორც უცხო
ვინმე იცოდეს იმ ფულების თავის
გარდასავალი, ისეც ჩვენ. ამ ნაირი
პირების წყალობით, საზოგადო ფუ-
ლები იკარგება; და ჩვენი შეილები
უბრალოდ დეეტარებიან და უნდა გა-
მოვიდნენ იმ ნაირი უხეირები და უ-
ბედურები, როგორც ჩვენ ვართ...

ძაცმა რა ნახოს აქაური გლეხი
ხალხის ცხოვრება, იმათი ცოლში-
ლის სიდატაქე, იმათი სახლების სი-
ცარიელი, უეჭველად დარწმუნდება,
რომ ჩვენი გლეხები რაღაცა შინა-
განა სწეულით არიან შეპყრობილი
და რაღაც სიჭიქროში იმყოფებიან.
მართლაც ისე არიან...
ამის წინათ მომიხედა ყოფნა სო-
ფელში ს — ს და ვკითხევი იქაურს
ერთს გლეხს იმათ მდგომარეობაზე:

ისტორია

თეოფილაქტი რუსანოვი

პირველი ეკზარხოსის საქართველოსი *)
(1765—1821)

მისაც გაუგონია პირველი საქართველოს ეკზარხოსის თეოფილაქტის ამბავი და იცის მისი ცხოვრების ისტორია, ჩემის აზრით, სასიამოვნოდ დარჩება მისთვის რამდენიც უნდა ეილაპარაკოთ მასზე, და ვინც არ იცის მისი ცხოვრება, ის უმეტესი მაღლობელი დაჩნება, რომ გააგებს ამის ცხოვრებას.

თეოფილაქტეს სახელი დიდხანს დარჩება ჩვენში. იმის შემდეგ სხვებიც ყოფილან საქართველოში ეკზარხოსებათ, მაგრამ იმდენი შთაბეჭდილება არც ერთს არ მოუხდენია ჩვენ საქართველოს მცხოვრებლების გონებაზე, რამდენიც თეოფილაქტემ მიახდინა.

იქ დროს როდესაც თეოფილაქტე სცხოვრებდა, რუსეთში, სასულიერო წოდებაში თითქმის მას ტოლი არ ყოფილა; მაგრამ მასზე ბევრი არა თქმულარა, თუმცა ბევრის თქმა კი შეიძლება. სხვა რომ არა იყოს რა, ის დიდხანს მსახურებდა საქართველოში და ბევრი კეთილი საქმე დაუწყო და კიდევ ბევრი გაუთავებია და ამისათვის უსარგებლოდ არ ვრაცხ, რომ მის ცხოვრებაზე ვსჯეთ რამდენიმე სიტყვა. პირველად იქნება ბევრი არაფერ ყავდა მას მადრიდში, მაგრამ შემდეგმა ცხოვრებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ თეოფილაქტეში დავკარგეთ ჩვენ სასარგებლო უფროსი პირი და კეთილის მოწადე ჩვენის ქვეყნისა.

თეოფილაქტე იყო დიპლომატიის შეიქმნა პრინციპის გუბერნიის მცხოვრებლისა. დაიბადა 1765 წელსა.

პირველად თეოფილაქტე სწავლობდა მოლონეცკის სემინარიაში, მაგრამ ბოლოს 1788 წელს შევიდა უმთავრეს ალექსანდრონეცკის სემინარიაში. აქ დაუჭვობრდა თეოფილაქტე ერთ მოწაფეს სერანსკის, რომელსაც ჩვენ ბოლოს მოვიხსენებთ. ბევრს ფიქრობდა იმაზე—თუ როგორი ცხოვრება ამოერჩია მას. სასულიერო წოდებაში ყოფნა სურდა, მაგრამ პრინციპის მღვდლად დადგომა კი არ უნდოდა! გააჩინილი ადგილის დაქრა და ამისათვის მიუცლილებელი იყო უნდოდა ბერათ წასვლა; მაგრამ არც მონასტერში დაყუდებულნივით ცხოვრება სურდა; მას სურდა ეპისკოპოსობის მიღება და სამსახურის ასპარეზზე შრომა. ამისათვის ღმერთმაც კი მიანიჭა მას ნიჭი და ცოდნა.

თეოფილაქტეს დროს შაგირდებს დაბლ და მაღალ სასწავლებლებში მარტო სასულიერო საგნებს ასწავლადნენ და ახალი ენების და სამეცნიერო საგნების შესწავლას არა-

*) მომეტებული ნაწილი თეოფილაქტეს ცხოვრების აღწერისა არის გადმოღებული ეურნალიდამ „მგროპის მოამბე“ 1873 წლისა.

ფრად არ უყურებდნენ. თეოფილაქტემ სწავლა რომ გაათავა, ძლიერ იგრძნო ნაკლები ენება თავის სწავლისა და ამისათვის მიჰყო ხელი ფრანკო-რუსული და ნემცოტური ენის შესწავლას. იმდენათ შეისწავლა ეს ორი ახალი ენა, რომ თავისუფლათ ლაპარაკობდა ორსავეზე. ამ ენების ლიტერატურაც კარგად შეისწავლა. თეოფილაქტეს უფრო უყვარდა სახორციელო საგნების კითხვა, ვინც სასულიეროსი.

მკირეს ხანში ბერად შედგომისა მიიღო ეპისკოპოსობა და გახდა შუშუმინდეს სინოდის წევრათ. იქამდისინ უყვარდა სახორციელო საგნები, რომ როდესაც არხიებისკოპოსათ იყო, მაშინ მიიღო თავის თავზედ პროფესორობა სიტყვიერების საგნებში იმ დროს ახლად გახსნილს პეტერბურლის სასულიერო აკადემიაში.

თეოფილაქტე არ გვანდა იმ პირებს, რომელნიცა სიტყვიერ, სახით და ყოველგვარი მოქცევით უმტკიცებენ სხვას, რომ ღვთის სათნო კაცები არიან, და ვითომ მათთან ამ ქვეყნიურ საგნებზე ლაპარაკი არ შეიძლება. იქ კეშმარტი მოაწმუნე ქრისტიანი იყო და მისი მოქცევა სამსახურის დროს შესაფერი და უფარისელო იყო; მაგრამ როდესაც ხალხში გაერეოდა, მაშინ ამ ქვეყნიურ საგნებზედაც კი სჯიდა და ამ საგნებზე ლაპარაკი საცოდაობათ არ მიანიჭდა და არც ეს ქვეყნიური ცხოვრება კაცის დაჯად არ მიანიჭდა. არ იყო ისეთი კაცი, რომელნიცა ტანისამოით ცდილობენ დაიმახურონ დიდი ქება; მაგრამ ძლიერ უყვარდა კარგათ ჩაცმა და თავის თავის ფუფუნება. მრთ დროს თურმე ლავრაში დასვირბობდა და პატარა ქოლგახელში ეჭირა მზის სხივისაგან თავის დასაფარად. ძლიერ გაუკვირდით თურმე ეს, როდესაც დაინახეს, რადგან იმ დროს დიდ საცოდაობათ მიანიჭდათ, რომ არქიერს შემწაწმუნებელი მზის სხივის დასაფარად რაიმე საშუალება ეხმარა!

იმას არ უყვარდა დაყუდებული და მოწყვნილი ცხოვრება; თვითონ მღვთაობდა და აკეთებთა ეპარხიის საქმეებს და სხვადასხვით მარტო ხელს არ აწერდა, რასაც წარუდგენდა კანსისტორია. ამისთანა მღვთაობის შემდგე, იმისთვის, რა საკვირველია, საჭირო იყო პატარა გართობაც; ამის გამო ხშირად ან თვითონ მოიწვევდა შინ სხვა და სხვა სახორციელო და სასულიერო უწყებების პირთა და ან თვითონ მიდიოდა მათთან. იმის ლაპარაკ და მახელო სიტყვიერობას არ გადურჩებოდა კაცის გული, რომ უნებლიეთ არ მიეზიდა მისკენ და არ შეეყვარებინა.

თეოფილაქტეს არ ჰქონდა იმისთანა ხასიათი, როგორსაც ჩვენ, საუბედუროთ, ზოგიერთებში ვხვდეთ: ზოგ ნაჩლიცკს კანონად აქვს დადგენილი, სხვაკაცთან ლაპარაკის დროს, თავი მაღლა დაიჭირებს და თუ მისი ქვეშევრდომთაგანია მაინც, მაშინ მშვიდობით: ასტებს ერთ უშველებლს ბრახბრუხს და ათასნაირ შენიშვნას ზურგზე აკიდებს თავის ქვე-

ახლა, მაღლობა ღმერთსა, თავისუფალი ხარო, კარგათ უნდა იყოთ, მე ვთქვი.

შე დალოცვილიმეილო, რაღა კარგათ უნდა იყოთ... მართალია, განგვათავისუფლეს, მაგრამ ახლა სხვა ცეცხლში ჩავეარდით... ამოხვრით მითხრა იმან. უწინ, მართალია, ყმათ ვიყავით, მაგრამ მარტო ერთ ბატონს ვემსახურებოდით; მუცელი მაძლარი მაინც გვექონდა. ახლა, ბატონო, ხუთს უნდა ვემსახუროთ: მღვდელს, სოფლის ბატონს, სოფლის მწერალს, სტარშინას და სხვა არ ვიცი ვის... ახლა მე ჩემი საკუთარი საქმე დამიგდია და მოსულეარ ბატონის კარზე, ვემსახურები, ჩემი ყანები კი ისე უპატრონოთ ფუჭდენიან.

როგორც მოგვხებნებათ, ჩვენ ეალი გვაქს კვირაში ერთს დღეს უნდა ვემსახუროთ ბატონებს ზამთარს თუ ზაფხულს, მაგრამ ე დალოცვილი ბატონები ისე არ შერებნებან: ზამთარის დღეებსაც ზაფხულში გვახდენენ, ისე რომ ზაფხულში თითო სახლმა ორმოცდათორმეტი დღე უნდა ვემსახუროს ბატონს, ისიც მშვიდ-მწყურვალე.

ღმერთზე ორსამ კოდს, როგორც თვითონ უნდათ, ლალას გვახდენენ. მღვებკაცს თუნდა მოუვიდეს, თუნდა არა მოსავალი, ბატონი თავისას წაიღებს. თუ სულ არა აქვს მოსავალი გლეხს, მაშინ უნდა წაიღოს, ისეხოს სურამში, ერთი-ორად ივალოს ურებიდან ანუ სამხებისგან და გადუხადოს ბატონს თავისი. აი ამით ვართ ყვლამდისინ ვალში...

მეორე გლეხმა საქონლის უყოლობა შემოამხივლა:

რო გყვანდეს, სად უნდა შევიწახოთ? ადრე ჩვენი სოფელი იყო ახლა; იმისგან იყიდა მამა. ახლა ის იძახის: ამთონს და ამთონს თუღს გადხდით, თუ არა და საქონლის საძოვრის და ტყით შემის მოტანის ნებას არ მოგცემთო. იმ დღეს ჩემს მებობელს მოჰქონდა ყანით პური; დეეცენ მამა, კარგა სცემეს და საქონელი, ურემი თავისის გაწყობილებით წაასხს. საწყალმა მიივლა მიროვითი სუღში, მაგრამ ეინ არის პატრონი! ჩვენთვის არც შკოლა, არც სწავლა, ასე ვართ რაღა... ჩვენი საქმე ერთს ღმერთზეა დარჩენილი, ბატონო...

ბევრი ამგვარი ამბები გამოგონია აქაურ გლეხებისაგან, ბევრის მოწმად მე თვითონ გყოფილვარ. მაგრამ ყველას ვინ მოსთელის?

უცხო ქვეყნები

ოპის ამბავი. ბედის ვარსკვლავმა თითქო ისე გაუღიმა სერბიელებს: უკანასკნელი დეპეშები გეაცნობებენ, რომ სერბიელებს ისე დაუბრუნებიათ უკან ძნიაჟევაცი, რომელიც ამას წინათ დაიპყრეს ოსმალებმა და ამას გარდა წაურთმევათ

მტრისათვით ორი სოფელი ბაბია და ტრასია.

შბთ ვრესი ძალა ოსმალოს ჯარისა ამ ყამად ალექსინაცის მახლობლად არის, ზაჩირათან, დაბანაკებული; სეობიელებისა კი თვითონ ალექსინაცში, ჩუპრიაში და პარაჩინში. ბუშინ მოსულ დეპეშამ გეაცნობა, რომ ოსმალები თავს დასხმინ სერბიის ჯარს ალექსინაცთან და მთელი დღის განმეალობაში საშინელი ბრძოლა იყოეო. სერბიებამ მოსული ამბავი გეაცნობინებს, რომ ამ შეტაკებაში ჩვენ გავიმარჯვეთო, ოსმალებმა რამდონიმე სიმარგე წაფართვით ისეე და დიდხანს ვსდევნეთო.

მრთის სიტყვით, მთელი ამ ბრძოლის ბედი ახლა ალექსინაცისა და შემდეგ, თუ აქ დაამარცხეს სერბიელები, ძრავუეაცხე იქნება დამოკიდებული, სადაც სერბიელებს აქეთ უმთავრესი არსენალები და ყველა საომარი იარაღები. შემდეგ ბელგრადამილ გზა თავისუფალი იქნებათ ოსმალებს, თუ მოინდომებენ ბელგრადში წასვლას და იმის აღებას. მაგრამ, როგორც საფიქრებელია, ძრავუეაცის აღების შემდეგ, სერბიელებს ბრძოლის გაგრძობა აღარ შეეძლებათ. მეორეს მხრით, თუ მართალია ის ამბავი, რომ სერბიელებმა ისეე წართვეს ოსმალებს ძნიაჟევაცი და თუ ალექსინაცთან ისინი გამარჯვებული დარჩნენ, იმათ ამ ბრძოლიდამ სახელოვნად გამოსელო შეეძლებად. ჯერ ხნობით კი გადაწყვეტილის თქმა არ შეიძლება, თუმცა ღენერალი ჩერნაიევი, რომელიც მთელი სერბიის ჯარის სარდალად არის ახლა დანიშნული, ძალიან იმედებს იძლევა, რომ ჯარი იმდენად მომზადებულიაო, რომ დღეის შემდეგ დამარცხების აღარ უნდა გვეშინოდესო.

ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებინან, პარიჟში ამბავი მოვიდაო, რომ რუსეთის იმპერატორი მეცადინეობსო, რომ ოსმალებსა და სერბიას შუა მორიგება და მშვიდობიანობა ჩამოაგდოსო.

საბერძნეთი. საბერძნეთის ელჩს თავის მმართველობის ნოტა წარუდგენია სტამბოლს ოსმალებთისათვის, რომ იმან დააკმაყოფილოს ყველა კანონიერი მოთხოვნილება ძანდიის კუნძულის მცხოვრებლებისა, რადგან იმათს აღელვებასა ჩვენ ხალხზედაც დიდი ამაღლებელი ზედმოქმედება აქვსო. ბაზეთებში ჯერ არაფერს არ იწერებინან ამაზე—თუ რა პასუხი მისცა ოსმალებთის მმართველობამ საბერძნეთს ამ წინადადებაზე.

მაგრამ ეს კი, მგონია, ცხადი უნდა იყოს, რომ, თუ ოსმალებმა ეს მოთხოვნილება ფორმალურად მაინც არ დააკმაყოფილა, საბერძნეთი ომს გამოუცხადება ოსმალებთსა ამას და ეინ იცის, მერე იქნება მთელი მეროპის ომიც თან მოჰყვეს.



შევერდომს და ისტორიებს უკან. ამით ზოგიერთს ჰქონია—თუ რაიმე კეთილ გავლენას იქონიებს თავის ქვეშევრდომზე. მაგრამ მეტი უნდა იქონიოს, რაც ამისთანა მოქცევამ კეთილი არ შობს! უფროსი, ვინც უნდა იყოს, მარტო მისთვის კი არ არის დღეენილი, რომ თავის ქვეშევრდომს უყვაროს ნიადგ და ფეხები უბრალებს; უნდა გაიგოს მისი მოთხოვნები, მისი საჭიროება და მოეხმაროს მას, რომ ღირსეულად აღარტყლოს მან თავისი მოვალეობა. ამისთანა დამოკიდებულებას ვხედავთ ცხლა ჩვენ? აი ეს განსაკუთრებით ჩასიათი იყო თეოფილაქტეში რომელსაც სხვაში ძნელად ნახავ. ის ყველას ერთნაირად უყვარდა და როგორც სახორციელო უწყების პართა, ვგრეთვე სასულიეროსაც.

როდესაც ამისთანა სიყვარული არის უფროსსა და ქვეშევრდომს შორის, მაშინ შეიძლება, რომ ყოველივე საქმე რიგანათ წავიდეს; მაშინ შეუძლიან უფროსსაც, რომ თავის ნაწილი აღასრულოს და საქმე გაიტანოს. თუ ეს სიყვარული არ არის, საქმე არ კეთდება. შიშით და ფეხების ბრახა-ბრუხით განა კეთილი საქმე გაკეთდება?

თეოფილაქტემ იცოდა ეს ძლიერ კარგად და იმიტომაც აკეთებდა იმდენ საქმეს. რომელ ეპარხიაშიაც მივიდოდა, მრთელ ეპარხიას დაეტყობოდა მისი იქ მისვლა. როდესაც მთავრობას მეორე ადგილზე ვადაყვავდა, თვისი ქვეშევრდომები მას გავტყობოდნენ ხოლმე უკან. ვხედავთ დღეს ჩვენ ამას?

(მაგრძელდება შემდეგ №-ში)

ნარევი

მთლი ვენგრიელი გავითის კორნეზონდენტი შემდეგ სცენას აგვიწერს, რომელსაც ის ბელგრადში დასწრებია:

„მედავზე აუარებელი ხალხი მოგროვებულყო და ბარბანის ხმა შორიდან მომესმა. მივახლოვდი. მანვე, რომ ერთ ალაგას დალაგებული იყო ბევრი ვერცხლის, ოქროს და სხვა ნივთები. მიხვრეს, რომ ეს ნივთები ბელგრადის ქალებს შეეწირათ სამშობლოსათვის.“ ომის გასაგრძობად; ვის საათები და ძეწკები მოეტანა, ვის ბეჭდები, ვის სამაჯურები ვის საყურები და სხვ. ახლა აქ ამ მედავზე დელაგებობათ ყველაფერი და ბარბანით აგროვებდნენ ხალხს, რომ ყველა ეს ნივთები მალე გაეყიდნათ, ფულად ექცათ და ბრძოლის ველზე გაეგზავნათ.“

ნეტარ ხსენებულ „უჩინანალიკობის“ დროს, ორი მეტად გამოჩენილი უჩინარის ნაწილი იყო ჩვენში, ერთის გვარისა: პ. ნ—ძე და ს. ნ—ძე. ამათს სამწყსოს რიონი სახლგარედა. მრთელ რალაც უბედურად ერთის ამთავანის სამწყსოში დამღეჩელი გამოავლო რიონმა, შეპყრთა ბატონი უჩინარის ნაწილი, რადგან ამისთანა შემთხვევა თავის დღეში არ შეხვედრია. ჰკითხა ერთს: რა უნდა ვქნათ? უთხრა, არ ვიციო. ჰკითხა მეორეს, — იგივე პასუხი.

ბოლოს ითხოვა სადღაც „ქანონთ პრეზა“, ჩახელა შიგ, სწერია: „Нужно произвести дознание изъ подъ руки“ (ე. ი. ხელად, გამოკითხვით უნდა მოხდეს გამოკითხვა). ახლა ამაზე შეიქნა გამოკითხვა: „რა, ეს „იზ პოდ რუკი“ დახანაიე რა არისო? იკითხა ყველგან, მაგრამ კაცმა ვერ აუხსნა. რა არა ეშველარა, მიიხმო ჩემად იასაულები და უბრძანა: ის მკვდარი აიღეთ, როდის ვაღმა გაიტანეთ და ს. ნ — ის საუჩინაროში დაავდეთო. იასაულებმა ბეჯითად შეასრულეს ბრძანება.

ახლა ს. ნ — ეს შეექნა საწვალელებად საქმე: ამნაც იმგვარად გამოკითხა, იმგვარადვე ჩახელა კინონში და ამასაც დახვდა იქ „დოხანაიე იზ პოდ რუკი.“ მერც ამან იშოვნა იმისთანა კაცი, რომ ამ სიტყვების ახსნა შესძლებოდეს. ბოლოს მიიხმო თავის იასაულები და უბრძანა: აიღეთ ის მკვდარი, როდის ვაღმა გაიტანეთ და მეორე ნაპირზე, ა. ნ — მის საუჩინაროში დაავდეთო.

ამნაირად სამჯერო-ოხჯერ გაიტან-გამოიტანეს თურმე ეს საბრალო გვამი რიონში, სანამ ბოლოს ერთმა იმთავანმა არ მიხვდა, რომ შუა წყალში ჩაეგდოთ და ამ ოსტატობით მოეშორებინათ თავიდან გვამი.

* *

მიბაძვა ლეგონტოვისას

მენდობი კაცსა ოსტატსა,
თვით მცბიერსა ადუკატსა
და ჩვენს ექიმს მუდამ მთვარლსა;
მაგრამ აღარ მივენდობი
ლამაზი ქალის აღტქასა!

მენდობი მოვას წითელ-წვერას,
თუმც სიტყუებს მუდამ პვერას,
და არ გატყუებს სულაც მართლს;
მაგრამ აღარ მივენდობი
ლამაზი ქალის ოხვრით აღტქას!

მივენდობი მოლაღატეს,
ჩინონიკსა მოლაქლაქეს
ხალხის ბედით მოთამაშეს —
მსახურს, გინა ვადამდგარსა;
მაგრამ აღარ მივენდობი
ლამაზი ქალის აღტქასა!

ბ. ბ.

თფილისის სამაჟურალო

(4 აპრილის სახსოვრად)
მრეენის მედავზე, ჩიტახოვის სახლებში.
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, თამაშევი — თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, შიურჩიანიცი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგან ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულითვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფი. შიურჩიანიცი — ყურისა და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და თამაშევი — თვალის ავთმყოფობისა.

განცხადებანი

ა. ქალანდაძის და ამხანაგობის წიგნის მღაზიაში, ქუკის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები:

- 1. მიჩინანი, ზღაპრული მოთხრობა — — — — — 25.
- 2. ვეფხვის ტაოსანი ავტორის სურათით — — — — — 50.
- 3. ბეჰანიანი აზბაგი ბეჰან და მანქანისა — — — — — 10.
- 4. დავითიანი თ. დავით ბურაშიშვილისა — — — — — 50.
- 5. სიბრძნე სიტყვის წიგნი, თქმული საბა სულხან მრბელიანისა — — — — — 50.
- 6. თამარ ბატონიშვილი თხზულება ბ. ჩჩულოვისა — — — — — 30.
- 7. თ. ნ. ბარათაშვილის ლექსები — — — — — 20.
- 8. თხზუ. ნ. ანტონოვისა — — — — — 1.
- 9. თ. გ. მრისთვის თხზულება წილი პირველი — — — — — 1.
- 10. თ. გ. მრისთვის თხზულება ნაწილი მეორე — — — — — 1.
- 11. თ. გ. მრისთვის თხზულება ლექსები — — — — — 50.
- 12. საქართველო, პირველი რეპუბლიკის შესახებ — — — — — 50.
- 13. კასია-აღამიანი თხზ. ი. ჰაეკიანისა — — — — — 50.
- 14. სამაჟურალო წიგნი შედგენილი კნ. ბ. ჯორჯაძისაგან 50.
- 15. სახელმძღვანელო წიგნი სხვა და სხვა ხელოვნობისა შედ. მ. ანტონოვისაგან — — — — — 40.
- 16. სიტყვანი და მოძღვრებანი იმერეთის მასკოპოზის - მიერ — — — — — 1. 50.
- 17. თარგმანი ქართული ქაღობისაგან — — — — — 40.
- 18. გავაგაგის მოვლა კომპილისა, ნათარგმნი ვ. შაჩბელიანისაგან — — — — — 50.
- 19. მიმოსვლა ანუ გზავ. რობა იონა მიტროპოლიტისა, ივერიის ქარის ლეთისმშობლის სურათით და ოთხი მიფის სურ. — — — — — 1.
- 20. წყობილ-სიტყვაობა ანტონ ქათალიკოზისა მიერ სიყ სურათით — — — — — 1.
- 21. მიმოსვლა წმინდათა და სხვათა აღამიანებთა — — — — — 50.
- 22. დიდი მოქრავი ლექსად ი. სააკიანისაგან — — — — — 50.
- 23. სახელმძღვანელო წიგნი მღვდელთათვის შედ. მღვდლის დ. ლამაზიძისაგან — — — — — 60.
- 24. ლექსიკონი ანუ განმარტება დავითისა, შედგენილი ახალშენისაგან — — — — — 30.
- 25. დარბეზა შედ. ი. ბოგებაშვილისაგან — — — — — 5.
- 26. სახელმძღვანელო კონა მისივე — — — — — 30.
- 27. წარა-კითხვის სასწავლი წიგნი, შედგენილი რ. ისარლიშვილისაგან — — — — — 5.
- 28. ჰეპვილის სარკმ ანუ წერა-კითხვის სასწავლი წიგნი, შედ. ან. ჯულელისაგან — — — — — 15.
- 29. თვით მასწავლებელი — — — — — 10.
- 30. ჰარამანიანი კარი პირველი და მეორე — — — — — 60.
- 31. ჰარამანიანი კარი მესამე და მეოთხე — — — — — 80.
- 32. სტამბენონი, რკინის გზის შემამღებ, თარგმნილი ბ. თუმანიშვილისაგან — — — — — 5.

- 32. საახალწლო ხაზრატა თხზულება ა. ჭყავჭავაძისა — — — — — 10.
- 33. არსენას ლექსი თქმული მისტიკოსისაგან — — — — — 5.
- 34. წმინდა მარინას წამება და აბრაამიანი — — — — — 5.
- 35. ქალ ვაჟიანი — — — — — 5.
- 36. ვარდ - გულგულიანი, თქმული თ. პირველის მიფესაგან — — — — — 5.
- 37. სარკმ თქმულთა თქმული თ. პირველის მიფესაგან — — — — — 40.
- 38. შიშვარში თხზ. დ. მელენი თხზულებისაგან — — — — — 10.
- 39. ლექსები სახალხო, შედგენილი პ. შიშვარშიისაგან — — — — — 5.
- 40. რჩეული არამედი „სიბრძნე-სიტყვისაგან“ თქმული საბა სულხან მრბელიანისაგან — — — — — 5.
- 41. წამება წმინდა მეთევან დედოფლისა — — — — — 5.
- 42. ბაზარსი, თქმული დ. მიწევილისაგან — — — — — 10.
- 43. გრიზული, ზღაპრული მოთხრობა, ნათარგმნი ფრანგულიდან დ. შიშვარშიისაგან — — — — — 40.
- 44. საქართველო დავარდნილია, თხზულება დ. მარტილოვისა — — — — — 15.
- 45. ქართული ქართა — — — — — 30.
- 46. გზოსანი, დ. ბიევიშვილისა — — — — — 20.
- 47. სურამის სიხე, ზ. ჰონქიძისა — — — — — 20.
- 48. ჰეპვილეს ჰეპვილი აუტარავინეთ — — — — — 20.
- 49. არითმეტიკული გამოსცანაები, ი. როსტომიშვილისა — — — — — 10.
- 50. ჰინაური — — — — — 10.
- 51. საუკუნელოლო ლოს. ვანი — — — — — 5.
- 52. ვთმირანი — — — — — 5.
- 53. ქალ-ვაჟის ლექსები — — — — — 5.
- 54. „დროების ქალმდარი“ — — — — — 10.
- 55. „ზმა“ ანუ ოხუნჯობა — — — — — 5.
- 56. „კითხვა მიგება“ გამოცნის მიწაგარი — — — — — 3.

„უფ. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში იბეჭდებოდა და ამ მოკლე ხანში გამოსვა უფ. ი. ს. ბოგებაშვილის ახალი სახელმძღვანელო წიგნი

„დედა ენა“

რომელიც ახალ მოსწავლე ქართველ ყმაწვილებისათვის არის დანიშნული.

ამ სახელმძღვანელოში თვით ტექსტში ჩართულია მრავალი სურათები.

ბამიცემა სოლ. არტ. მართანოვისა

იქვე იბეჭდებოდა და აგრეთვე მალე გამოსვა იმავე ავტორის მეორე სახელმძღვანელო წიგნი,

„გუნების კარი“

ავტორისაგან ხელახლად გადახედული, შესწორებული და დამატებული.

ამ წიგნის ტექსტშია მრავალი სურათები ჩართული. მომატება სულ. არტ. მართანოვისა

აქვე მართანოვის წიგნის მღაზიაში, ქუკის ხიდზე, მირზოევის შენობაში, ისყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული წიგნები და სახელმძღვანელოები.



დაიბრუნდა შუთისში და ისყიდება სასწავლებლის ზედამხედველთან უ. მ. ასათიანთან

კანონები

მღვდელთათვის საკოდნოლად საჭირონი, სასულიერო სასწავლებელთა და სხვათა წესდებათაგან გამოკრებული ქართულს ენაზედ.

(3-1)

ხვანჭარის (ჩაჭაში) გამსახებალ-შემანახველი ამხანაგობის

გამგებლობა

ამით აცხადებს, რომ პირველის თიბათილდგან ამა 1876 წლისა პირველს იანვრამდე მომავლის 1877 წლისა, ა) ის ახდენიანებს სესხების გატანის დროს ასზე 12% (თორმეტსარგებელს);

ბ) აძლევს თვითონ სასარგებლოთ შემოტანილს ფულზედ — მოთხოვნამდე უფადოთ 3% ასზე და ვადით, იმის მიხედვით, თუ რა ვადით არის შემოტანილი, 4%-დგან ვიდრე 9%-მდე.

გ) მოთხოვნელბანი მიიღებინა ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და ოთხშაბათისა, დილის რვა საათიდან შუადღემდე და ნაშუადღევს სამი საათიდან ექვს საათამდე.

დ) რჩევის სხდომები არიან დანიშნული: პირველ მარტომდის თვეს, პირველ ენკენისთვეს, პირველ დეკემბრისთვეს და პირველ გიორგობისთვეს 1876 წლისა.

გამგებელნი ხვანჭარის გამსახებელ-შემანახველის ამხანაგობისა:

ქოსტანტინე შიშინი
დავით ნაწუკოვი და
მღვდელი სამსონ ლანდია
(3-3)

ისყიდება

ძალანდამის და მართანოვის წიგნის მალაზიაში ძუკიის ხილზეპ. შმიკაშვილის გამოცემანი:

გრიგოლ ორბელიანის ლექსები.
შასი ათი შაური

სიბრძნე სიცრუის წიგნი
თქმული

საბა ორბელიანისაგან
შასი ათი შაური

კავკასიის საგაბიო ინსტიტუტი

სამომავლოდ ღოზიტილით (შერაზე, ფრანგის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოზიტალიში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავთმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდან 9¹/₂-მდე დოქტორი არტემიევი და 9¹/₂-დან 11-მდე დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდან 12-მდე დოქტორი ალბანუსი და ძაპველერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

LA VELOUTINE

(გელუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. ძანს ეკერება და არა სჩანს.

უ. ჭაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადე)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156-53

დაიბრუნდა და ისყიდება

თამარ სამარტოველს

ბატონის შვილი

ისტორიული რომანი

ბ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და

ამხ. სტამბაში და მწფიჯიანცის

წიგნის მალაზიაში.

შასი ყველგან ექვსი შაური.



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისი მშენებლის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოდ სამზღვარ გარეთ ეპრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობის შინგ-გლიცარინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. მს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს

ქიმიის პროფესორისა ლანდგერხტან დანიშნულისა, მენაი, უ. პლესჩინსკისა და ნებარტეა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საეკირელო და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და პპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლელი თაიცი კი მალე თმით იმოსება. საეკირელოთ თვის კეფას უმავრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს ამოარებს; თმას ამავრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშენებლის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშენებელია.

შეელა ეს თვისებანი იემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ექიანო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულისის პუბლიკის სასარგებლოდ.

შასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პ. მ. ა. დ. PASTA EUGENIE

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება თფილისში ლანკოს მეზიკალურ მალაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწურის ქარვასლაში, ვლადიკავკასიში — სევალოთან და სტამბოლში პურლი-



ჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი წიგნებიცა. მს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ქორფლი, ქერქეში და სიციხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფ-

ლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიციხოველე ეძლევა. შეელაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებსათვის გარანტი, არის მენის ქიმიის პროფესორი ძლენინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

შასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს. ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის



საც ხორცის კანის ავთმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხელი



ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელეზე და ყელზე. BERTHAË RIES. კ ა მ ა დ ა

მს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოდ ღრმა მოზუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის შასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. შასი სამი მანეთი.

ტოქანის ბალზამი—საშუალება მახოლისათვის. შასი 60 კაპ. 54-29

რპ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საცხლის გეგები	შოშბა	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი .	9 36	4 54			ა) შოთილამ მიღის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 9 აგვის.		თფილისი, 12 აგვის.	
მცხეთა . .			68	38	მღესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთათის, რუსეთს			პური შორაგალის ფთ.	80
ზორი . . .	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს—კვირობით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.			ჭერი ფუთი.	60
ხაშური . .	2	11 10	3 92	2 18	ბ) მღესისკენ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ. და			ბამა მრევისა, ფუთი .	5 50
ბეჟეთუბანი			4 42	2 46	შოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და			— ამერიკისა, ფუთი. .	6 30
შვირილა .			5 81	3 23	სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ძახეთს — ხაშუ. და შაბ.			ბაპენტილი ბამა ფთ.	8
მუთაისი . .	8 23		6 75	3 75	შოთილამ:	ბ) მუთაისი დამ:			მატული თუშური ფთ.	7 50
სამტრედია .			7 73	4 29	I	თფილისისა და შოთისკენ—ყო-			— თარაქამისა ფთ. .	7 50
ახ.-სენაკი .			8 57	4 76	II	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-			აბრეშუმის ნუხური გრ.	2 60
შოთი	11 44		9 75	5 42	III	გეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდის			ჭონი, ფუთი	4
შოთი	8 40				სახუმამდი . 4	— ოთხშაბ.			ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი .			1 18	66	3	გ) ბო რი დამ.			სტეარინის სანთელი, ფ.	10 30
სამტრედია .			2 61	14	20 50 15 50 5	ყოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი ძროხისა, ლიტ.	45
მუთაისი . .	11 51		3 41	69	შეჩამდი . 20	გარდა.			— ცხვრისა, ლიტრა .	54
შვირილა . .			3 98	21	შეჩამდი . 20	დ) შოთი დამ.			სპირტი, ვედრო	6 60
ბეჟეთუბანი			5 33	2 96	შეჩამდი . 20	ყოველგან ყოველ დღე, კვი-			შაქარი, ბროც. ფუთი .	6 90
ხაშური . . .	5 41	1 6	5 84	3 24	შეჩამდი . 20	რას გარდა.			— ფხვნილი ფუთი . .	5 80
ზორი	7 23	3 6	7 36	4 9	შეჩამდი . 20	წიგნის გაგზავნარუსეთში			შავა გრვავალი ფუთი .	19
მცხეთა . . .			9 85	4	შეჩამდი . 20	და სამზღვარ გარეთ:			ხეთი ქუთჯუთისა ფთ.	5 50
თფილისი .	10 16	7 24	9 75	5 42	შეჩამდი . 20	ლავა წიგნის			მქრო 1/2 იმპერიალი . .	6 27
					შეჩამდი . 20	დაბეჭდილის (სამი მისხალი) .				